სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 99

2016 წლის 25 მაისი

ქ. თბილისი

„2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოკლვადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მეორე ნაკადზე გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 24 მაისის N98 ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების ლოლიტა შენგელიას და ნინო დემეტრაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N554805, 24.05.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს შეცდომა „2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მეორე ნაკადზე გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 24 მაისის N98 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის 21 და 23 პუნქტებში და ღონისძიებების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. ევროპის კოლოიდური და ფაზათაშორისი მეცნიერების საზოგადოების 30-ე კონფერენცია“

„23. სგმს-ის სამრეწველო და გამოყენებითი მათემატიკის საზოგადოება) საერთაშორისო კონფერენცია, სგმს-ის ყოველწლიური შეხვედრა 2016.“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი